№ 84

ხუთშაბათი, 18 აპრილი 1896

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 84

ხუთშაბათი, 18 აპრილი 1896

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თეოდოსია ფირანის ასული ხელთუფლიშვილისა** და **დავით გესარიონის ძე ხელთუფლიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის **მიხეილ გესარიონის ძის ხელთუფლიშვილისა** გარდახდილ იქნება კვირას, 21 აპრილს წმიდა გიორგის ეკკლესიაში, ქ. ქუთაისში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ. (2—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის,

შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **კნ. ოლგა თადეოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

**სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი** განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე **აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის კერძო შეწირულებათა საჭირო ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,—რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.

თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცაგერეიშვილი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 28 აპრილისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს:

ნადეჟდა ზაქარიას ასულმა პოლტარაცკისამ სამი პრესპაპიე გოშიები, ერთი წყვილი შანდალი წითელი მინის, ერთი წყვილი ნაკერი ჩუსტები. ნინა ივანეს ასულმა თაყაიშვილისამ ორი ვაზა ბაკარა, ერთი ფლაკონი დუხი, ვეშალკა, ორი გიდელა, ერთი კალათა, პატარა ჩარექა, ორი თებში ყვავილების ჩასადგმელი. კნიაჟნა სოფიო ლევანის ასულმა ციციშვილისამ ნაკერი ბალიში, ყვავილებისაგან გაკეთებული ლამფის დასადგმელი, ორი საქინძისთავე ბალიში ატლასზედ ნაკერი. კნიაჟნა ელენე ლევანის ასულმა ციციშვილისამ ხელოვნურად გაკეთებული ყვავილების თაიგული, ყვავილისავე ლამფის საჩრდილობელი, ყვავილების თაიგულები სხვა-და-სხვა ნივთების შესამკობად, საქინძისთავე ბალიში კრუჟევასი.

## ახალი ამბავი

*** ოდესის უნივერსიტეტში სახელმწიფო ეგზამენები უკვე დაწყებულა. ეკზამენს იჭერენ სხვათა შორის ერთი ფილოლოგი ვ. ლორქიფანიძე და ოთხი იურისტი: კ. აბზიანიძე, ნ. თავდგირიძე, დ. მდივანი და ი. სიდავა.

*** რუსეთის საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ თავისს ერთს უკანასკნელს სხდომაზე დაადგინა შეადგინოს განსაკუთრებული თანხა, რომლის სარგებლითაც დახმარება აღმოუჩინოს იმ მევენახეთ, რომლებსაც მოხუცებისა, ან ავადმყოფობის გამო შრომა აღარ შეუძლიანთ, ან ადგილი დაუკარგავთ და რაიმე უბედურება სწვევიათ; აძლიოს პენსია და ფულით დაეხმაროს, როგორც თვიონ მევენახეთ, რომლებიც კავკასიაში მუშაობდნენ რომელსამე სამეურნეო ნაწილში, აგრეთვე მათს ოჯახობასაც.

*** დროებით კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნულია თ. ი. გორჩიცკი.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ამ წელს 25 ათასი მანეთით ნაკლები მისცეს ვირე შარშან. ამისათვის კომიტეტმა გარდასწვიტა ცხინვალის საფილოქსერო დასი გააუქმოს და ამ ადგილების მეთვალყურეობა სურამის ნაწილის ექსპერტს მიანდოს.

როგორც შევიტყეთ, საფილოქსერო კომიტეტს 15 ამ თვისას გაურჩევია იმ გლეხების საქმე, რომელთაც ცხინვალისა და სურამისაკენ ვენახები დაუწვეს, რადგანაც ფილოქსერა აღმოაჩინეს და გარდაუწყვეტია ფული მისცეს. მაგრამ რადგანაც ამ წელს კომიტეტს შედარებით უფრო ნაკლები ფული აქვს, ვიდრე წარსულს წლებში და გლეხების ზარალი - კი ოთხას თუმნამდეა, კომიტეტს დაუდგენია 1,330 მან., ე. ი. $^{1}/_{3}$ ზარალისა უხლოს გლეხებს, გარდასცეს სოფლის საზოგადოებათ და მათ დაზარალებულთ გაუნაწილონ ეს ფული. კომიტეტის აზრით, განაწილების დროს სახეში უნდა იქონიონ ის გარემოება, რომ შეძლებულთ უფრო ნაკლები მისცენ და ღარიბ და ხელ-მოკლე დაზარალებულ გლეხებს უფრო მეტი.

*** ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უწყიან, რომ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის სახაზინო თეატრში გაზ. „მშაკისა“ და «არძაგანქის» თანამშრომლებს ბ-ნს მალუმიანსა და ახუმიანს უსიამოვნობა მოუხდათ. ეს საქმე ტფილისის სასა-

## ფელეტონი

### სამეცნიერო წერილი.

### I

დარვინის ევოლიუციონური თეორია.

შემდეგი *)

ვინც ცოტაოდნად მაინც დაჰკვირვებია ბუნებას, უსათუოდ შენიშნავდა, რომ ჩვენი დედამიწა გავსილია სხვა-და-სხვა ნაირი გვარის ორგანიზმებით, სხვა-და-სხვა ნაირი გვარის ცხოველებით და შეუწყვეტელი მუდმივი სიცოცხლე დუღს დედამიწის ყოველს კუთხეში. ვისაც გაუვლია ტყედ, მინდვრად, ველად და, თუ არ გაუვლია, ისეც ეცოდინება, რომ ეს მრავალი რიცხვითი გვარი ორგანიზმებისა, ცხოველებისა, ერთის შეხედულებით სრულებით არ გვანან ერთმანეთს, არამც თუ სხვა-და-სხვა გვარის ორგანიზმები, ერთ გვარის ორგანიზმებიც განსხვავდებიან, მაგალითად იხვს ყველა გაარჩევს ბატისაგან და კაკაბს ხოხობისაგან, თუმც ესენი ერთი გვარისანი არიან.

უფრო ვრცელი გვარები რომ ავიღოთ ორგანიზმებისა, შორეულს მიმსგავსებას დავინახავთ, მაგ. ვინ მიამსგავსებს ფრინველებს ჯოჯოებს, ვინ მიამსგავსებს ჰიებს პეპელებს, ძუძუმწოვარა ცხოველებს (კატა, ძაღლი, კამეჩი, ხარი) თევზებს, ვინ იტყვის, რომ კატა ჰგავს თევზს, ვინ მიამსგავსებს ადამიანს მაიმუნს, ვინ მიამსგავსებს ვაშლის ხეს ატმის ხეს, ვარდის ბუჩქს მაყვლის ბუჩქს, იას და ზამბახს. ეს იმიტომ, რომ ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული თვისება აქვს—ჯოჯო ვერ იფრენს, თევზი ვერ აწოვებს ძუძუს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლიან მთელი ხმელეთის ორგანიზმები წარმოვიდგინოთ გრძელ ჯაჭვად, რომელიც, მხოლოდ მთლად ერთიანი კი არ არის, არამედ აქა-იქ გაწყვეტილია. მისი რგოლები არ არიან შეერთებულნი, რადგან თუ ფრინველები შეადგენენ ჯაჭვის ერთ რგოლს და ჯოჯოები მეორეს, მათი კავშირი აღარ სჩანს, რადგან ჩვენ ვერ ვხედავთ მფრინავ ჯოჯოებს. დარვინმა აღმოაჩინა ისეთი ბუნების კანონი, რომელიც გვასწავლის, რომ ეს დაშორებული რგოლები ანუ ორგანიზმების გვარი წინად იყვნენ შეერთებულნი, წარმოადგენდნენ განუწყვეტელ ჯაჭვს და ეხლა-კი არიან დაშორებულნი ერთმანეთზედ. ეს კანონია დარვინის ქმნილება. რით აიხსნება ეს განცალკევება ორგანიზმებთა შორის და როგორ შესდგა ამდენი სხვა-და-სხვა ნაირი გვარი, როგორც ცხოველებისა ისე მცენარეებისა, ეს კითხვები, რასაკვირველია, სხვა მეცნიერებსაც ებადებოდათ. ამის ასახსნელად მათ შეჰქმნეს მრავალი თეორია, რომელნიც დარვინის თეორიის შემდეგ ჩრდილში მიიმალნენ. ერთი თეორია უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ, რადგან იგი დიდხანს მეფობდა მეცნიერებაში და გამოთქმული იყო ისეთის შესანიშნავის მეცნიერისაგან, როგორიც იყო კიუვიე. როგორც ვიცით, ჩვენს დედამიწაში მრავალი გაქვავებული ორგანიზმი მოიპოვება, როგორც ცხოველები, ისე მცენარეები, რომელნიც განირჩევიან ეხლანდელ ცხოველებისა და მცენარეებისაგან. კიუვიე თავისს „discours sur les revolutions duglobe“ ამტკიცებდა, რომ ბუნების მოქმედება რევოლიუციონური იყო, ბუნების ისტორიაში იყო ხოლმე რევოლიუცია და ამ რევოლიუციის დროს ისპობოდნენ ყოველი ორგანიზმები და ამის შემდეგ ბუნება აჩენდა ახალ-ახალ ორგანიზმებს, აი რატომ არ გვანან გაქვავებული ორგანიზმები ეხლანდელს და ეხლანდელშიაც არსებობს სხვა-და-სხვა ნაირი გვარი, ე. ი. კიუვიე ამტკიცებდა, რომ თვითეული გვარი იყო ცალკე შექმნილი დედამიწის ყოველი ცვლილების შემდეგ და არა წარმოშობილი სხვა რომელიმე გვარიდამ, რომელიც წინად სცხოვრებდა. ლაიელმა თავის „გეოლოგიის საფუძველში“ დაამტკიცა უსაფუძვლობა კიუვიეს რევოლიუციის თეორიისა და უჩვენა, რომ დედამიწაზედ ბუნების კანონები მოქმედობენ ნელა და თან-და-თანობით რამოდენიმე მილიონ წლობით და არა ერთ რომელიმე რევოლიუციის შემწეობით, როგორც ამტკიცებს კიუვიე. ლაიელმა უჩვენა ის გზა, რომლითაც უნდა მიდიოდეს ბუნებისმეტყველი, როდესაც ხსნის უწინდელ ცხოვრებას. ლაიელმა დაამტკიცა, რომ ყოველი პროცესსი, რომელიც ხსნის უწინდელ ცხოვრებას, უსათუოდ უნდა იყოს დამყარებული ეხლანდელ მოვლენებზედ, რომლებსაც ჩვენ შეგვიძლიან ვადევნოთ თვალი და გამოვიკვლიოთ კიდეც.

რაც წარმოსთქვა ლაიელმა თავის გეოლოგიაში დედა-მიწის ცხოვრების შესახებ, იგივე სთქვა დარვინმა ორგანიზმების შესახებ. დარვინი 30 წელიწადს აგროვებდა ფაქტებს, რომელთა სიმრავლე აოცებს მკითხველს. ამ ფაქტების შესაკრებად ხუთს წელიწადს მან დაიარა შესანიშნავი და გამოჩენილი ადგილები დედამიწისა და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოსთქვა თავისი ძლიერი სიტყვა, რომელმაც ბოლო მოუღო კიუვიეს თეორიას თვითეულის გვარის ცალკე ქმნილებისას. ლინნეი და კიუვიე ამბობდნენ, რამდენიც მოდგმაა, იმდენი ქმნილება იყო (творческій актъ), („Species tetsunt diversae, quot diversas formas creovit infûtamens“), რომ ეს გვარი სცხოვრებდა შეუცვლელად, ვიდრე გათავდებოდა ერთი გეოლოგიური ეპოქა. მაგრამ ეს თეორია ვერ ხსნიდა ისეთს მოვლენას, რომელსაც უწოდებენ ორგანიზმების გეოგრაფიულ დასახლებას (разселенiе); მაგალითად, იაპონიაში და ხმელთა შუა ზღვაზედ, რომელნიც დიდ მანძილით არიან გაშორებულნი, შეხვდებით ერთ მოდგმის ორგანიზმებს, თევზებს, ლოკოკინებს და სხვ. კიუვიეს თეორიის ძალით იაპონიაში ერთი წყვილი იყო შექმნილი და ხმელთა შუა საზღვარში მეორე იმავე გვარი წყვილი ორგანიზმებისა, ეს-კი ეწინააღმდეგება ერთ ქმნილებას.

ლამარკი თავისს phylosophie zoologique ამბობს, რომ ყოველი ორგანიზმი იცვლება, რადგანაც მათში არსებობს რაღაც „სურვილი“, „არსებითი გრძნობა“, „მისწრაფება“, რომლის ძალითაც შეიძლება შეიცვალოს არამც თუ მთელი ორგანიზმი, არამედ მისი ნაწილიც, თუმცა მისგან მოყვანილი მაგალითები არღვევს მისს თეორიას, (მცურავ ფრინველებს იმისათვის აქვთ საცურავი გარსით შეერთებული თითები, რომ ისინი ცდილობდნენ ცურვის დროს გაეფარჩხათ თითებიო.) დარვინმა უარ-ჰყო ორივე ეს თეორია და თავისი ხელით დაგვიხატა ის გზა, რომლითაც მიდიოდა ბუნება, როდესაც ასრულებდა თავის ქმნილება—სხვა-და-სხვა გვარის ორგანიზმებისა, ე. ი. დაგვიხატა მთელი ისტორია, როგორც ცხოველებისა, ისე მცენარეებისა. დარვინმა მიიღო ლაიელის ხანგრძელი დრო, მიიღო მისი ბუნების ნელი, მუდმივი, შეუწყვეტელი, თან-და-თანობითი მოქმე-

*) იხ. „ივერია“ № 83.

მართლოს 1-ლს განყოფილებაში გაირჩა 16 აპრილს და შემდეგი განაჩენი დაადგინა სასამართლომ: ბ-ნს ახუმიანს ხუთის დღით პოლიციაში დაპატიმრება მიუსაჯა, ხოლო მალუმიანს 15 მან. ჯარიმა და თუ შეუძლებლობის გამო ამას ვერ გადიხდის სამის დღით პოლიციაში დაპატიმრება.

*** ამ დღეებში სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელსაც მიდობილი აქვს ამიერ-კავკასიის გლეხთა მიწათ-მფლობელობის მოწყობის საქმე. („მ. ვ.")

*** პოლიციის დეპარტამენტი ადგენს ამ ჟამად პროექტს, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს დამოკიდებულება მოჯამაგირეთა და დამქირავებელთა შუა. („მ. ვ.").

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს" სწერენ, 10 აპრილს, ღამე ვიღაც ბოროტ-მომქმედთ დიხაზურის მაცხოვრის აღდგომის ეკკლესიის კარები გაუტეხნიათ, შესულან და 500 მან. ღირებული სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთები გაუტანიათ. დამნაშავენი ჯერ არ აღმოუჩენიათო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობაზე ზაქათალის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი სამოილოვი დაუნიშნავთ, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე ართვინის ოლქის უფროსს პოდპოლკოვნიკს თავადს მ. ი. ერისთავსა ჰნიშნავენო.

*** დაბა ხაშური: ძლივს გვეღირსა გამოზაფხულება; ქუჩები, რომლებიც ზამთარში ტალახით სავსე იყო და რომლებზედაც სიარული შეუძლებელი იყო, ეხლა გაშრა, მაგრამ კანავოები კი ავსებულია დამპალი წყლით, ნაგავითა და სხვა უსუფთაობით. კარგს ინებებდა აქაური ადმინისტრაცია, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს.

*** სოფ. სამთო (ოზურგეთის მაზრა): 5 აპრილს გარდაიცვალა ყვავილით ამავე სოფლის მცხოვრები ვაჭარი კ. ბაქანიძე. წინა დღეებში ილ. თავაძე და ეს ერთად სავაჭროდ წასულიყვნენ ქ. ქუთაისს, დაბრუნდნენ თუ არა, ორივენი ერთად ავად გახდნენ, მაგრამ ვერ გაიგეს თურმე, რომ ყვავილი შეჰყროდათ. ბაქანაძემ თურმე იფიქრა მგზავრობაში გავცივდიო და მხურვალე სასმელებსა და ოფლის სადენ საშუალებას მიჰმართა, რამაც უცებ მოუსწრაფა სიცოცხლე. თავაძე სიკვდილს გადაურჩა. ეხლა-კი ეს სენი სხვებსაც გადასდებია.

კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, დროზედ ყურადღებას მიაქცევდეს ამ ავადმყოფობას მეტის უბედურების და ზარალის თავიდამ ასაცილებლად.

*** დ. ხაშური: ჩვენში გაზაფხული ჩვეულებრივზედ ჯერ მეტად ცივია; ამას უთუოდ ცუდი გავლენა ექნება ვენახ-ხეხილებსა და ბოსტნეულობაზე, როგორც გვარწმუნებენ ძველი დროის გამოცდილი მოხუცებულები.

ხვნა-თესვის ამინდი კარგია. მართალია ხშირი წვიმებია, მაგრამ ისეთი არა, რომ მუშაობას ხელი შეუშალოს.

## კორესპონდენცია.

**სოფ. მეწიეთი.** (გურია): 30 წარსულ მარტისას მივაბარეთ მიწას ერთი პატიოსანი ახალგაზრდა, რომლის მსგავსნი, ჩვენდა საუბედუროდ, ამ ჩვენს ზნეობრივად გადუხჭირებულს დროში იშვიათნი არიან. ეს გახლდათ ბესარიონ ლაზარეს ძე კალანდაძე, რომელმაც თავისს ნაცნობ-მეგობართა და ტოლ-სწორთა შორის დასტოვა სახელი პატიოსანის ადამიანისა და რომელმანც მომმეთა სამსახურს და საზოგადო საჭიროებათათვის ზრუნვას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. განსვენებული ბესარიონი მსახურებდა ბათუმში, როტშილდის ნავთის ქარხანაში უფროს ნოქრად, იწერდა ყველა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს, კითხულობდა თითონ და აძლევდა წასაკითხად მუშებს, რომელთა შორის ბოლო დროს ისე გაძლიერდა სურვილი ჟურნალ-გაზეთის კითხვისა, წიგნების შეძენისა და ჩვენის ავ-კარგის გაგებისა, რომ როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში დაარსდა ქართულ წიგნების მაღაზია. ამ საქმის თავდაპირველი მეთაურობა და გამღოლა ეკუთვნის ისევ მას, ნეტარ-ხსენებულ ბესარიონს. ახლა გადაათვალიერეთ შეწირულებათა სია სხვა-და-სხვა ჩვენის ფონდებისა და ნახავთ, რომ ბესარიონს მუშათა შორის ყველა ფონდისათვის უგროვებია ფული და უგზავნია დანიშნულებისამებრ. იქ ნახავთ აბაზიანსა და ორ-შაურიან შეწირულობას და სწორედ ეს წვრილი შეწირულება წინამორბედი მსხვილისა და დიდის საქმისა, სახელდობ იმისა, რომ მდაბიო, მუშა ხალხი გონს მოდის, ტკბილობს სადაცაა ჩვენი საკუთარი ხსნა და ამ საგურთხეველის წინაშე სტოვებს თავისს უკანასკნელ აბაზს, უკანასკნელ ორშაურს. ამას დაუმატეთ ბესარიონის მამობრივი ზრუნვა, მშური მოქცევა, და ქომაგობა მუშებისადმი, დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სამუშაოს მეპნელი ახალგაზრდები, ვიდრე ბინასა და ადგილს გაიჩენდნენ, ბესარიონის გულ-უხვ მასპინძლობით გამოდიოდნენ და, უეჭველია, ამის შემდეგ დამეთანხმებით, რომ ის პატიოსანი და სასარგებლო კაცი იყო ჩვენს პატარა ერში. ქარხანის მძიმე და მოწამლული ჰაერი და არა ნაკლებ მძიმე და გულის მომკვლელი იქაური წეს-წყობილება ვეღარ აიტანა ბესარიონის მგრძნობიარე გულმა და საბრალო ჭლექით ავად გახდა. 27 მარტს ამ უკურნებელმა სენმა თანაც გადიტანა. დასაფლავებაზე ხალხი მრავალი იყო, სიტყვები წარმოსთქვეს მღვდელმა ლავრენტი წულაძემ და რამდენმამე სხვამ.

დამსწრე.

## ტფ. სათავად-აზნ. ბანკის მომავალი საზოგადო კრება.

წრევანდელსავე კრებას მოხსენდება აგრეთვე გამგეობის აზრი იმის შესახებ, თუ რა პირობებითა და წესით შეიძლება გაიცეს სესხი ვენახების გირაოთი.

მთელს ამიერ-კავკასიაში, სადაც-კი მოქმედობს ტფილისის სათავად-აზნ. ბანკი, მცხოვრებნი გულმოდგინეთ მისდევენ მევენახეობას. უმეტესი ნაწილი ამიერ-კავკასიისა, თავისის თბილის ჰავით და კარგის ნიადაგით, ისეთი ქვეყანაა, სადაც მევენახეობა ყველა სხვა გვარ კულტურასა სჯობს, უფრო მეტს სარგებლობასაც იძლევა და მკვიდრთაც შეჩვეულ-შეთვისებული აქვს.—მიუხედავათ იმისა, რომ ვაზს, ამ უკანასკნელ წლებში ნამეტურ, ბევრი სხვა და სხვა ავათმყოფობა უჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ვენახის მოშენება-მოვლას დიდი ხარჯიცა და შრომაც უნდა, მიუხედავათ ყველა დამაბრკოლებელ გარემოებისა, მევენახეობა ჩვენში მაინც მატულობს, შესამჩნევად მრავლდება ვენახთა რიცხვი. ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან—მევენახეობა უფრო სარგებლიანი, უფრო გამოსადეგი, უფრო საიმედო კულტურაა, ვიდრე სხვა გვარი მეურნეობა. ეს რწმენა დამყარებულია მათ მრავალ საუკუნეთა გამოცდილებაზე.

მცოდნე პირთა აზრით, ერთი დესეტინა ვენახისა იძლევა, შუათანა რიცხვით, ორას ვედრა ღვინოს. თითო ვედრა ტფილისის გუბერნიაში ღირს მანათ ნახევრიდან თუმნამდე, ადგილის მიხედვით, ხოლო ამიერ-კავკასიის დანარჩენ ადგილებში ოთხ აბაზიდან სამ მანათამდე. ასე რომ, თუ შუათანა აღრიცხვით ვედრა ღვინის ფასად ორ მანათს ავიღებთ, დესეტინა ვენახმა სულ 400 მანათის შემოსავილი უნდა მისცეს პატრონს. რადგანაც ჩვენში ვენახის მეიჯარადრე-მომუშავე შემოსავლის ნახევარს იღებს, ამიტომ შემოსავლის ნახევარი უნდა მივიღოთ შემუშავების ხარჯათ, ასე რომ წმინდა მოგება დესეტინაზე იქნება 200 მანათი; ათის წლის შემოსავლის ანგარიშით-კი, დესეტინა ვენახის ფასი 2000 მანათს შეადგენს, თუმცა ზოგიერთ ადგილას დესეტინა ვენახს სამი ათას მანათათაც ვერ იყიდი... აი ასეთი სიმდიდრე დღეს არ იღება ბანკში გირაოდ სესხის აღებისთვის. იქ, სადაც უმეტესი ნაწილი მემამულეთა მევენახეობას მისდევს, ღვინის კეთებაზე ამყარებს თავის ეკონომიურს კეთილ-დღეობას, სწორეთ იქ ვენახის პატრონი მოკლებულია საჭირო კრედიტს. ეს გარემოება უსამართლობათ უნდა ჩაითვალოს და ამიტომ გამგეობა ფიქრობს, რომ საჭიროა მოიწყოს ამგვარი კრედიტის საქმე.

რადგანაც საკმაოთ დიდი დროა საჭირო, რომ ვენახმა იმდენი შემოსავალი მისცეს პატრონს, რამდენიც საჭიროა ყველა ვალდებულების შესრულებისთვის, რომელიც-კი აწევს მეურნეს სესხის აღების გამო, ამიტომ სესხიც უთუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს; სახელდობრ საჭიროა 10—14 წლის ვადა მაინც.

გამგეობის მოხსენება აღნიშნავს ამასთანავე იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია ცუდის მოვლისა და ცუდის შემუშავების გამო ვენახის

---

დება, მიიღო მისი მეთოდი, დასაბუთება ეხლანდელ მოვლენათა ძალით განავითარა იგი და შეავსო სხვა კანონებით. ამგვარს საფუძველზედ აღაშენა მან მთელი თავის თეორია. ორ ფაქტორს უჭირავს მთავარი ადგილი ამ თეორიაში: [illegible] არის „ბრძოლა არსებობისთვის" და „მეორე ბუნებრივი შერჩევა". დარვინის თეორია ამტკიცებს ამ ორი ფაქტორის ძალით, რომ ყოველ იგვარი ორგანიზმებისა, როგორც ცხოველებისა, ისე მცენარეებისა იყო წარმოშობილი სხვა გვარიდამ და არა ცალკე შექმნილი, რომ ორგანიზმების გვართა შორის არსებობდა განუწყვეტელი კავშირი, რომელსაც ეხლა ვერ ვხედავთ, რადგან ბრძოლამ არსებობისათვის მოსპო უძლურნი, ასე რომ, ორგანიზმები არიან ერთი შთამომავლობისა. ყოველი მოდგმა ორგანიზმებისა იცვლება და თანაც უმჯობესდება იმ საზღვრებთა შორის, რომლებსაც ითხოვს მისი არსებობა, იხოცებიან უძლურნი და რჩებიან უმჯობესნი. ეს არის დარვინის ბუნების მეტყველების ფილოსოფია, რომელიც არის აგებული პალეონტოლოგიაზე, ცხოველების და მცენარეების გეოგრაფიაზედ, შედარებითი ანატომიაზედ და სისტემატიკაზედ.

იგივე აზრი დაახლოებით, მხოლოდ ბუნდათ წარმოსთქვა ოგიუსტ კონტმა თავისს „Philosophie positive"-ში იმ ადგილს, საცა სცდილობს ახსნას მთელი ხმელეთის ორგანიზმების სახე. კონტის აზრით ყოველი ორგანიზმი დაკავშირებულია გარკვეულს გარემოებებთან, ასე რომ, ამ ორგანიზმისა და ამ გვარების შორის არსებობს თანაბრობა, მაშასადამე, თუ სხვა-და-სხვა ორგანიზმები ჩავაყენეთ დიდის ხნით სხვა-და-სხვა გარემოებაში, მაშინ უმეტესი ამ ორგანიზმებისა უნდა მოისპონ, მხოლოდ დარჩებიან ისინი, რომელნიც აკმაყოფილებენ თანაბრობის მოთხოვნილებას; ამ მოსპობით ნელ-ნელა არსდება ჩვენ პლანეტაზედ ჰარმონია. ეს აზრი, რასაკვირველია, განსხვავდება დარვინის აზრიდან, რადგან კონტი იღებს ორგანიზმებს ისე, ვითომც იგინი ერთხელ შექმნილნი და შეუცვლელნი არიან. დარვინმა-კი თავის ისტორიულ პროცესში უჩვენა მათი წარმოშობა, გარდა ამისა კონტის „მოსპობა" არის ლოღიკური შედეგი, დარვინისა-კი ბუნების შეუცვლელი კანონი.

ჩვენ ერთსა ვშიშობთ, რომ მკითხველს, არ ეგონოს, ვითომ დარვინის თეორია ხსნის ყოველიფერს, რასაკ ვხედავთ ბუნებაში, რომ დარვინიზმი ხსნის როგორ და საიდამ წარმოსდგნენ ორგანიზმები, მით უფრო, რომ ბევრჯერ ამბობენ დარვინმა სთქვა, ადამიანი მაიმუნისაგან არის წარმომდგარიო.

დარვინს ეს თავისს დღეში არ უთქვამს. დარვინმა სთქვა მარტო, რომ ადამიანიც, როგორც ცხოველი, ემორჩილება იმავე ბუნების კანონებს. ვინ შეჰქმნა ეს კანონები, არც ამას ეხება დარვინი თავისს თეორიაში.

ჩვენ ერთს მაგალითს მოვიყვანთ იმის ასახსნელად, თუ რა აღმოაჩინა დარვინმა თავისი თეორიით და რა მოეთხოვება მას. ვთქვათ სხვა და სხვა ადგილას ჩვენ შეგვხდა მშვენიერი ძველი ხელოვნების თიხის ავეჯეულობა, დაწყებული დიდრონ ქვევრებიდგან ვიდრე პატარა ლიტრებამდინ. იგინი იყვნენ მორთულნი მშვენიერის მრავალ ფეროვანის გამოსახულებით და ვარაყებით. რასაკვირველია, მაშინვე მოგვივა კითხვა: ვინ გააკეთა ეს მშვენიერი ნივთები? წარმოვიდგინოთ, რომ ამ კითხვის დროს დაგვესწრო არხეოლოგი, რომელმაც გვიპასუხა, ეს ავეჯეულება გააკეთა ადამიანმა წყლის და ორთქლის საშუალებით და ამის დასამტკიცებლად წაგვიყვანა ძველს დანგრეულ ქარხანაში, სადაც იდგა საორთქლე ქვაბი, წყლით საბრუნებელი ჩარხი და მრავალი დამტვრეული იმგვარივე ჰურჰელი, ზოგი მომზადებული, ზოგი-კი მოუმზადებელი, ჯერ გამოუმწვარი. ამ ქარხანის ნახვის შემდეგ ჩვენ არ დავკმაყოფილდით არხეოლოგის პასუხით და კიდევ მივეცით კითხვები, როდის იყო გაკეთებული ის ავეჯეულობა, როგორ იყო გაკეთებული, აგვიხსენით თავიდამ ბოლომდინ, გარდა ამისა ისიც გვითხარით, როგორ გაკეთდა ის თიხა, რომლიდგანაც გაკეთებულია და შემდგარია ეს ჰურჰელი? რასაკვირველია, ამაზედ არავითარ პასუხს ვერ მივიღებთ, რადგან ეგ სხვა გამოკვლევის საქმეა და არა არხეოლოგისა, რომელსაც ეს არც-კი უკისრნია. მშვენიერ და რთულ თიხის ავეჯეულობის მაგიერათ წარმოვიდგინოთ სხვა-და-სხვა მოდგმანი ორგანიზმებისა სპილოდგან დაწყებული კოლო-ბუზებამდინ, ადამიანის მაგიერად წარმოვიდგინოთ ბუნება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას არ აქვს აზრი და გონება, ორთქლის და წყლის ძალის მაგიერათ ძალა იმ ორი მოვლენისა, რომელზედაც მიგვითითა დარვინმა „ბრძოლა ორგანიზმების არსებობისთვის" და მეორე „ბუნებითი შერჩევა", დამტვრეული და დაძველებული ავეჯეულობა იქმნებიან მაშინ მოპოვებული დედა მიწაში გაქვავებული ორგანიზმები და არხეოლოგი, რასაკვირველია თვით დარვინი, რომელმაც სთქვა, რომ ამ ორ ძალის საშუალებით „ორგანიზმების არსებობისათვის ბრძოლისა" და „ბუნებითი შერჩევა" ბუნებამ ერთი მოდგმა წარმოშობა მეორედან, დანარჩენ კითხვებზედ, მაგალითად, როგორ შეიქმნა პირველი ორგანიზმი, როგორი იყო იგი და სხვა, დარვინიზმი არ არის მოვალე პასუხი მისცეს, რადგან ეგ მომავალი მეცნიერების საქმეა. აი რას ამბობს ერთი შესანიშნავი მეცნიერი დარვინის თეორიის შესახებ: „ჩვენ ვხედავთ ბუნებაში ორ გვარ პროცესს: ერთი, არსებითი პროცესსი — პროცესსი შერჩევისა და შექმნისა ახალი სახის ორგანიზმებისა, რომელნიც ამით უერთდებიან ერთმანეთს და მეორე პროცესსი, რომლითაც ეს შეერთებული ორგანიზმები ნაწილდებიან და ჩნდება მრავალი მოდგმა სხვა-და-სხვა როგორც მცენარეებისა, ისე ცხოველებისა. შეიძლება ეს პროცესები განცალკევებულნი იყვნენ, შეიძლება გამოწვეულნი სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, მაგრამ დარვინმა პირველმა შენიშნა, ანუ სჯობია ვსთქვათ, აღმოაჩინა, ეს ისტორიული პროცესსი ორგანიზმების შერჩევისა და შეცვლისა". აქედამ ვხედავთ, რომ დარვინმა დაგვიხატა მთელი ისტორია ბუნებისა ანუ ცხოველებისა და მცენარეებისა, როგორც ისტორიკოსები ხატავენ ისტორიას კაცობრიობისას, რასაკვირველია, ამ ორ ისტორიას შორის არის განსხვავება, რადგან პირველი ჩვენს ხელთ არ არის, ხოლო უკანასკნელი-კი ჩვენს ხელთ იყო და ეხლაც არის.

ეხლა გადავავლოთ თვალი, რა გზით მივიდა დარვინი თავისს უკვდავ დასკვნამდე, რომლითაც იხსნება მრავალი მოვლენანი და ფაქტები ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრებიდამ.

გ. ლეკანოზიშვილი.

(შემდეგი იქნება.)

შემოსავალი ძლიერ დაეცეს; შესაძლებელია აგრეთვე—ფილოქსერამ სრულიად გაანადგუროს აყვავებული ვენახი. ამ შემთხვევებში ვენახი აღარ იქნება საიმედო გირაოთ ბანკისთვის, მაგრამ არის საშუალება აეცდინოს ბანკს ზარალი. რადგანაც ვენახის შემოსავალი უცბათ და ერთბაშათ არ დაეცემა, არამედ თან და-თან, ბანკს უნდა მიენიჭოს უფლება დროგამოშვებით დაათვალიეროს დაგირავებული ვენახები და თუ ამგვარი რევიზია აღმოაჩენს ცუდს მოვლა-შემუშავებას, ჰქონდეს უფლება მოითხოვოს ვადამდე ვალის გარდახდა. თუ ვენახის შემოსავალი მეტად მცირდება ან ცუდის მოვლისა გამო ან ფილოქსერის გაჩენის გამო, ბანკს ნება უნდა ჰქონდეს შეივსოს თავისი ზარალი როგორც ვენახის გაყიდვით, ისე მეპატრონის სხვა მოძრავ-უძრავ ქონებიდანაც...

ყოველივე ზემოხსენებულ გარემოების გამო ტფ, სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ფიქრობს, რომ აუცილებლად საჭიროა მოეწყოს ხანგრძლივის სესხის გაცემა ვენახების გირაოთი, მაგრამ იმ პირობებით,-კი, რომელთა შემწეობით შეიძლება ბანკის დაცვა ზემო აღნიშნულ მოულოდნელ ზარალისაგან.

თუ ბანკის საზოგადო კრება შეიწყნარებს ამ მოხსენებას, ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულმა კრებამ უნდა შეადგინოს პროექტი სადაც ჯერ არს წარსადგენად.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** პარლამენტის უკანასკნელმა გარდაწყვეტილებამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელი არ არის კონსერვატიულისა და ან ზომიერ რესპუბლიკელთა სამინისტროს შედგენა. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ „შეთანხმების“ სამინისტროს შედგენაა საჭიროო. ამგვარ სამინისტროს შედგენას მიანდობენ მელინს, რადგანაც სარიენმა უარი სთქვა. პროგრესიულ დასებს შეუძლებლად მიაჩნიათ „შეთანხმების“ სამინისტროს შედგენა, ამიტომ თხოულობენ ისეთი სამინისტრო შეადგინეთ, რომელსაც აზრად ჰქონდეს დიდის ცვლილების მოხდენაო. რადიკალები დიდის ენერგიით იბრძვიან და სცდილობენ კონსტიტუცია გადასინჯულ იქმნეს, იმასაც-კი ამბობენ, შეიძლება ბრისსონს მიანდონ სამინისტროს შედგენაო. მძიმე მდგომარეობა მით უფრო მწვავდება, რომ კონსერვატიულმა ჟურნალ-გაზეთობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოილაშქრა; ოპორტიუნისტები აცხადებენ, რომ თუ ისევ რადიკალთა სამინისტრო დაინიშნა, მაშინ სამინისტროს კრიზისი გამოიწვევს კონსტიტუციის კრიზისსაო.

**გერმანია.** „ბერლინერ ნეუჩე ნახრიხტენ“-ს სწერენ ვენიდამ, რომ ინგლისის მთავრობა ყოველს ღონესა ხმარობს, იქნებ გერმანიის იმპერატორი ჩვეულებრივად წრეულსაც წამოვიდეს კაუზშიო. ინგლისში ფიქრობენ, რომ ვილჰელმის მოსვლა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს უცხო სახელმწიფოებზედ. ჩვენი მოლოდინი იმპერატორისა სულ უსაფუძვლო არ არისო, ამბობენ, ამას ის ამტკიცებს, რომ სიცილიაში იმპერატორი ინგლისურს სამხედრო გემს ასტრეაზედ იყო და ეცვა იგლისის ადმირალის ფორმაო. იმასაც-კი ამბობენ, რომ ნიცაში დედოფალს ვიქტორიას გერმანიის იმპერატორმა ბარათი გაუგზავნა, რომელშიაც აღუთქვა კიდევაც ინგლისში მოვალო. „ტაიმსს“ სწერენ ბერლინიდამ, თუ მთლად გარდაწყვეტილი არ არის, მოსალოდნელი კია მაინც, რომ ვილჰელმი ცოტა ხნით ჩამოვა კაუზშიო. ძალიან ეხმარება თურმე ინგლისის მთავრობის სურვილს ავსტრიის იმპერატორიც, რომლისთვისაც დედოფალს უთქვამს ინგლისისა და გერმანიის განწყობილების შესახებ.

**ინგლისი.** „ტაიმსსა“ სწერს ნიუიორკის კორესპონდენტი, ჩემს მოვალეობადა ვრაცხ მოვსპო ინგლისის საზოგადოების ოცნება ვენესუელას საქმის შესახებაო. არავითარი შეთანხმება არ მომხდარა ჩრდილო-ამერიკის შტატებთან, მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არა აქვს და დრო-კი მოახლოვდა, როცა ამერიკელმა კომისსიამ უნდა წარუდგინოს მთავრობას მოხსენება ინგლისისა და ვენესუელას საზღვრებთა შესახებ. წარადგენენ თუ არა ამ მოხსენებას, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულს შტატებს შორის შეტაკება უნდა მოხდესო. „ტაიმსი“-ს კორესპონდენტი უსაყვედურებს მარკიზ სოლსბერის, რატომ არ დასთანხმდი კლიველენდის წინადადებაზედ, რომ დაინიშნოს ინგლისისა და ამერიკის კომისსია, რომელმაც უნდა გაარჩიოს სადავო საგანი ინგლისსა და ვენესუელას შუა. მუდმივს მედიატორეთა სამართლის დაწესებაზედ-კი წინააღმდეგნი არიან თვით ამერიკელები, თუმც სოლსბერის სურდა ესა. ეს შეუძლებელია და მოუხერხებელიო, ამბობენ ისინი, განსაკუთრებით ამ საქმეშიო.

## საფრანგეთის სენატი და სამინისტრო.

უკანასკნელს სხდომას სენატისას, რომელზედაც მადაგასკარისათვის საჭირო კრედიტი უარყოფილ იქმნა და სამინისტრომ ძალა-უნებურად სამსახურს თავი დაანება, სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა. დარბაზი სავსე იყო და სამინისტროს ყველა წევრებიც თავ-თავისს ადგილას ისხდნენ. წინ-და-წინვე-კი იცოდენ ამ სხდომის შედეგი; იმ დილით გამოსული „ფიგაროც“-კი ამბობდა, რომ სენატი უარს იტყვის ამ კრედიტზედ და ბურჟუა სამსახურს თავს დააანებებსო.

სხდომა გაიხსნა დემოლის განცხადებით. «სამჯერ სენატმა დიდის ხმის უმეტესობით უკმაყოფილება გამოუცხადა სამინისტროს, მიუხედავად ამისა სამინისტრომ სამსახურს თავი არ დაანება და კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედებდა. დღეს სამინისტრო თხოულობს კრედიტს მადაგასკარისათვის. არც ერთი ჩვენგანი უარს არ იტყვის ამ კრედიტზედ, რომელიც საფრანგეთის ჯარის კაცებისათვის არის საჭირო, იმ ჯარის კაცებისათვის, რომელნიც იცავდნენ საფრანგეთის დროშასა და სახელს შორეულს სამფლობელოში (შუაში ტაშის ცემაა) სენატი სალამს უძღვნის მათ, როგორც უძვირფასესს მამულის შვილთ და მზად არის ყოველივე მსხვერლი მოიტანოს მათ გაჭირვებისაგან დასახსნელად. ამიტომაც ჩვენ კრედიტზედ უარს არა ვყოფთ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ეხლანდელი სამინისტრო სამსახურს თავს დაანებებს. სენატმა არ უნდა გამოსთქვას თავისი გარდაწყვეტილება ამ კრედიტის შესახებ, სანამ ჩვენ არ გვეყოლება ისეთი სამინისტრო, რომელიც კონსტიტუციის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს, ე. ი. სანამ ორთავე პარლამენტის სანდო სამინისტრო არ იქნება (შუაში ტაშის ცემაა. აღელვებაა).

ბურჟუა, სამინისტროს თავმჯდომარე, წინააღმდეგობას უცხადებს დემოლს იმ სიტყვების გამო, რომ ვითომ სამინისტრო კონსტიტუციის დამრღვეველი იყოო (მემარცხენეთა ტაშის ცემაა, შუა წინააღმდეგობას აცხადებს) კონსტიტუციის მუხლების ახსნა სენატს არ ეკუთვნის, არამედ კონგრესს (ყვირიან: მაშ მოიწვიეთ კონგრესსი. აღელვებაა.) ბურჟუა აცხადებს იმედს, რომ სენატი პოლიტიკურის პარტიობით გატაცებას არ დაემორჩილება, არამედ პატრიოტული გრძნობით აღიჭურვება და კრედიტზედ თანხმობას განაცხადებს (მემარცხენეთა ტაშის ცემაა. შუა პროცესტს აცხადებს).

ბადიუელი რადიკალთა ჯგუფის სახელით თხოულობს, რომ საფინანსო კომისსიამ გარდაწყვეტილების წინად თავისი მოხსენება წაიკითხოს კრედიტის შესახებ. რადიკალები (ბადიუელი, ლეგრანი) თხოულობენ კრედიტი განხილულ იქმნეს.

სენატორი ვინიანკური ამბობს, თანახმა ვარ, რომ სენატმა არ უნდა გამოთქვას ჯერ თავისი აზრი, მაგრამ ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. პრეზიდენტი მოსთხოვს სამინისტროს სამსახურს თავი დაანებეო, ამას გარდა გაცხარებული ხალხი შემოგვივარდება სენატშიო (ყვირიან მობრძანდნენ, ჩვენ აქ უცდით) ვინიანკური თხოულობს , ისეთი ძლიერი მთავრობა დაინიშნოსო,რომ თავისუფლება და წეს-რიგი დაიცვას, რადგან ეგენი ეხლა განსაცდელში არიანო.

ტრარიე: თუ მინისტრებს სამშობლო უყვართ (ბურჟუა გააწყვეტინებს, ამაში ეჭვს არავითარი ადგილი არა აქვს) ტრარიე: მეც სრული დარწმუნებული ვარ, რომ სამინისტრო სამშობლოს სიყვარულით აღსავსეა და ამიტომაც მგონია, რომ იგი კონსტიტუციას არ დაარღვევს კონსტიტუციის ძალით-კი სამინისტროა პასუხის მგებელი სენატის წინაშე და არა სენატი სამინისტროს წინაშე.

რადიკალი ვერნარი აცხადებს, რომ დემოლის განცხადება დამრღვეველია მორიგ საქმეთა განხილვის წესისაო, რადგან ჯერ საფინანსო კომისსიამ უნდა წაიკითხოს მოხსენება. იგი ჰკიცხავს სენატს, რომ პოლიტიკურს პარტიობას აძლევენ პირველს ადგილს ამგვარს საქმეში.

სენატის თავმჯდომარე ლუბე პასუხად უგებს, რომ მორიგ საქმეთა განხილვას აქ ადგილი არა აქვს, რადგან სენატი კრედიტის გასასინჯავად-კი არ შეკრებილა, არამედ მისთვის, რანაირად შეუდგეს მორიგ მაქმეთა განრჩევასო. ამიტომაც დემოლს მიეცა ნება კამათობის წინად თავისი განცხადება წაეკითხა.

დემოლი შემდეგ ფორმულას წარადგენს და თხოულობს ეს გარდაწყვიტეთ და მერე შეუდგეთ მორიგ საქმეთა გარჩევასაო: „სენატი არ გამოსთქვამს თავისს აზრს კრედიტის შესახებ, სანამ ისეთი სამინისტრო არ იქნება, რომელსაც ნდობას უცხადებს ორივე პარლამენტი“. ეს ფორმულა მიღებულია 171 ხმით 90 წინააღმდეგ. სენატში დიდი აღელვებაა, მინისტრები არა სტოვებენ თავთავიანთ ადგილს, მათ გარს ეხვევიან რადიკალთა სენატორები.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— კიდევ ამერიკელები!.. დღე ისე არ გადის, რომ ერთი რამ საკვირველება არ მოიგონონ. ამ ჟამად ამერიკელს კოლტს გამოუგონია ერთგვარი ავტომატური ზარბაზანი, რომელიც თავისუფლად თურმე შეუძლიან ერთმა ჯარის-კაცმა ატაროს ზურგით. ზარბაზანი სულ ერთის ფუთის სიმძიმეა და იქამდის პატარა, რომ ლაშქრობის დროსაც-კი ძალიან არ გაუჭირდება ჯარის-კაცს მისი ტარება, თუ სხვა ბარგი არ ექმნება საზიდი. სისტემა ზარბაზნისა, სულ ხხვაა, ვიდრე მაქსიმეს სისტემის ზარბაზანი, რომელიც ამ ბოლოს დროს დიდად მიღებულია უცხოეთში. ამ სისუბუქესთან ერთი დიდი ღირსება კიდევ ის არის ამ ზარბაზნისა, რომ იგი საშიში სრულიად არ არის და შესანიშნავის სისწრაფით შეიძლება მისგან სროლა (ერთს წამში 400 ჯერ შეიძლება დასცალოს ადამიანმა). 320—350 ნაბიჯზე ამ ზარბაზნით ნიშანში 100 ჯერ მოურტყამთ 16 წუთის განმავლობაში. როდესაც-კი საჭიროება მოითხოვს, ჯარის-კაცი ჩამოიღებს ზურგიდამ ამ ზარბაზანს, გაამაგრებს ერთგვარს სამ-ფეხა რკინის სკამზედ, რომელიც დაკეცილი დააქვს თანვე და საითაც უნდა, ტუჩს იქით აქნევინებს ზარბაზანს. არც თუ დიდი და რთული მეხანიკური მოწყობილება აქვს ზარბაზანს; იგი შესდგება ლულადამ, რომელიც ჩადებულია ყუთში; ამ პატარა ყუთშია მოთავსებული მთელი მეხანიზმი სროლისა და ცალიერი პატრონების გადმოსაყრელად. ზარბაზანი იმითია კიდევ კარგი, რომ შეიძლება სურვილისამებრ ა გრად გაიტენოს და არც ისე ძალიანა ხურდება სროლის დროს, როგორც სხვები; პატრონების ჩაწყობაც მეტად ადვილია—ერთგვარის ლენტებით, რომლებზედაც იგინი არიან მიმაგრებულნი. პატრონებიც ამ რიგადვე, როგორც ზარბაზანი, ყუთებით გადააქვთ ერთად 100,250 ანუ ხუთასი ზარბაზანი დაიცლება თუ არა, მაშინვე თავისთავად იწმინდება ერთგვარის მოწყობილობით, რომელიც უცბად შეკუმშულს ჰაერს გაატარებს ხოლმე ლულაში და ასუფთავებს წამლის ჭუჭყისაგან. როგორც სჩანს, მაშაადამე, ამ ზარბაზნის ხმარება მეტად ადვილი ყოფილა. თუ-კი მოისურვებენ, შეუძლიანთ იგი ველოსიპედზედაც მიამაგრონ და სიარულის დროსაც სცალონ. იგი ამ ჟამად უკვე შემოუღიათ ჩრდილო-ამერიკის მხედრობაში სახმარებლად და ალბათ სხვაგანაც შემოიღებენ (მ. ვ.)

— ყველამ იცის, რომ ხშირად დედამიწის ზურგზე ცის სივრციდამ ჩამოვარდება ხოლმე მიწიდან, ქვიდან, რკინიდან და სხვა მასალიდან შემდგარი ნივთიერება, რომელსაც მეცნიერება სახელად „ჰაეროლიტს“ ან „ბოლიდს“ უწოდებს. ხალხი ამ შემთხვევაში ამბობს ხოლმე: „ცას ვარსკვლავი მოწყდაო“. საფრანგეთის მეცნიერი მონიო სწერს,რომ „ჰაეროლიტების“ სიდიდე არავითარის კანონით არ არის შეზღუდულიო, რომ ცის სივრცეში მოგზაურობენ უზარმაზარი,ვეებერთელა „ჰაეროლიტები“ და შესაძლებელია ეს დიდი სხეულნიც ისე ადვილად ჩამოვარდნენ დედა-მიწის ზურგზე, როგორც პატარა „ჰაეროლიტებიო“. ზოგიერთს მუზეუმში ინახება დიდ „ჰაეროლიტების» ნატეხები, რომელთაგან თითოეული 60 ფუთს იწონს. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ„ჰაეროლიტი“არ დაიმსხვრას და მთელად ჩამოვარდეს დედა-მიწაზე. „არ შეიძლება წარმოვიდგინოთო დაახლოვებით მაინც, სწერს მონიო, რა დაემართება დედა-მიწას, რომ მას რამდენისამე ასი საჟენის ოდენა ჰაეროლიტი დაეცეს.ამგვარის ვეებერთელა ბოლიდის ჩამოვარდნა ოკეანეში კიდევ არაფერია, მაგრამ ხმელეთზე რა უბედურებას დაატრიალებდა, ამას კაცის გონება ვერ მიხვდებაო. ამგვარის უზარ-მაზარის ბოლიდის სიმძიმეს მიწა ვერ გაუძლებს, გასკდება იმოდენა სიღრმემდე, რომ იქიდამ უშველებელი ცეცხლის ალი ამოვარდება, რომელსაც ამოჰყვება ვეებერთელა ქვები და სხვა და ვინ იცის, როგორი გამანადგურებელი ძალა ექნებაო“. აქედამ სჩანს, რამდენად საშიში ყოფილა „ჰაეროლიტების“ ჩამოვარდნა.ესეთივე „ჰაეროლიტები“ ბლომად ცვივა მზეზე და მაშინვე იწვის, ასე რომ მზეს არ აკლდება სიცხოვლე. ეს ჰაეროლიტები რომ არ იყოსო, ამბობს მონიო, მზე აღარ გაანათებდა და მთელს ქვეყნიერობას ბნელი დაჰფარავდაო. („პ. ი ლ.“)

## საფრანგეთის სახელმწიფო წესწყობილება.

(გრადოვსკისა და ლებონის თხზულებებიდამ)

### II

### სენატისა და პარლამენტების უფლებანი.

ყოველი კანონი უნდა განხილულ იქმნას და მიღებული ორთავე პარლამენტისაგან. არა კმარა მარტო პარლამენტმა მიიღოს კანონი ან სენატმა, საჭიროა ორთავემ განაცხადონ თავისი თანხმობა. კანონ-პროექტი, რომელსაც განიხილავს პარლამენტი, შემდეგ უნდა გასინჯოს სენატმა, თუ არ მიიღო სენატმა, კანონის გამოცხადება არ შეიძლება, რადგან იგი არ ითვლება კანონად.

პროექტები სულ ერთია საცა არ უნდა განიხილონ პირადად. მიუცილებელია მხოლოდ ბიუჯეტი პირველად პარლამენტმა განიხილოს. მაგრამ პარლამენტის გარდაწყვეტილება ამის შესახებ უთუოდ სენატმაც უნდა მიიღოს. სენატს შეუძლია შესცვალოს ბიუჯეტის მუხლები, უარ ჰყოს იგი, შეასწოროს იგი, მხოლოდ ახალი მუხლების შეტანა არ შეუძლია და არც სხვა-და-სხვა ხარჯის მომატება, ასე ფიქრობენ უმეტესი ნაწილი კანონების ამხსნელთა.

კანონ-პოოექტების წარდგენა პარლამენტში შეუძლია მთავრობის წევრებს, (მინისტრებს) რასაკვირველია, და ყოველს დეპუტატს. პროექტის წარდგენისთანავე პარლამენტი გარდასწყვეტს საჭიროა თუ არა იმავე დღეს გაირჩეს პროექტი. თუ პარლამენტმა არ იცნო ეს საჭიროდ, მაშინ გარდაეცემა ეგრედ წოდებულს „ინიციატივის კომისიას“, რომელმაც უნდა განიხილოს პროექტი და წარუდგინოს თავისი აზრი პარლამენტს. ის პროექტები, რომლის განხილვაც საჭიროდ მიაჩნია პარლამენტს და რომლის განხილვას წარდგენისათანავე მიუცილებლად იცნობს, გარდაეცემა განსაკუთრებულს ბიუროს. 11 ასეთი ბიუროა საფრანგეთის პარლამენტში, 9 სენატში. არსებობს აგრეთვე საბიუჯეტო კომისსია, რომელსაც ირჩევენ ბიუროები ამ კომისიაში—11 წევრი უნდა იყოს ბიუროს რიცხვის მიხედვით ან 33. ბიუროები წარუდგენენ პარლამენტს პროექტებს თავისი მოსაზრებით და პარლამენტი მიიღებს ან უარსა ჰყოფს პროექტს. თუ პროექტი სამინისტროს წევრმა შეიტანა და მისს მიღებაზედ სამინისტრო აფუძნებს თავის არსებობას, ე. ი. განაცხადებს,რომ თუ პროექტი მიღებული არ იქმნა,სამსახურს თავს დავანებებთო, მაშინ თუ პროექტი უარ-ყოფილ იქმნა, სამინისტრო სამსახურს თავს ანებებს. რადგან სამინისტრო პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე, ამიტომ პარლამენტი თვალ-ყურს ადევნებს სამინისტროს მოქმედებას

და საზოგადო პოლიტიკას. ამიტომ დეპუტატებს ნება აქვთ დაეკითხონ მინისტრებს მათი მოქმედების შესახებ. თუ ამ მოქმედების შესახებ უკმაყოფილება განაცხადა პარლამენტმა, სამინისტრომ სამსახურს თავი უნდა დაანებოს.

—

სენატს იგივე უფლება აქვს, რაც პარლამენტს. ეს როგორც მოვიხსენიეთ კონსერვატიული ელემენტია პარლამენტალურის წეს-წყობილებაში. 1884-დის სენატის $1/_3$ სიკვდილამდის სენატორებად იყვნენ, ასე რომ ნამდვილ კონსერვატიულს ელემეტს წარმოადგენდა. 1884-დამ-კი ეს კანონი შეიცვალა, მაგრამ სენატი მაინც ვერ არის სრული წარმომადგენელი ხალხის ნებისა. სენატს აქვს ერთი დიდი უფლებაც, მის ნება დაურთველად პარლამენტის დათხოვა შეუძლებელია. ამ საშუალებას მიმართა მაკ-მაჰონმა და პარლამენტი დაათხოვია სენატს, მაგრამ ხალხმა მაინც მისი წინააღმდეგი დეპუტატები აირჩია. სენატსა აქვს განსაკუთრებული უფლებაც. იგი წარმოადგენს უმაღლესს სასამართლოს. მას შეუძლია განასამართლოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრები, თუ ამას მოითხოვს პარლამენტი.

(შემდეგი იქნება).

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით შევეკითხო ბატონ „ვინმე გურულს", რომელიც, სხვათა შორის, ამბობს „კვალის" ამ წლის მე 15-№-ში: „წარსულ წელს მამასახლისის ამორჩევის დროს, მალ-მომრეობას ჰქონდა ადგილი, ამიტომ ვშიშობთ, რომ მომავალი არჩევანების დროს, რაც ადრე უნდა მოხდეს, იმავე მალ-მომრეობამ არ იჩინოს თავიო; იმედია, ბატონი მაზრის უფროსი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებასო". საჭიროთ მიმაჩნია აქ შევნიშნო, რომ ბატონი კორესპოდენტი ამ ადგილს, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ვერ აუწყებს მკითხველ საზოგადოებას სავსებით, როგორც რიგია; ხოლო მიზეზი-კი არ ვიცით, რისგან არის ასეთი შეცდომა. მართალია, შარშანაც, როგორც წინა წლებში, რამოდენიმე ხელ იყო ყრილობა მამასახლისის ამოსარჩევათ, რადგანაც ადგილობრივი ადმინისტრაცია და სოფლელები ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ ბოლოს როგორც გაიგო ეს ბ. მაზრის უფროსმა, ფიცხელი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას; ჩამოვიდა თვითონ ს. ნიგოითში და ამოარჩია მამასახლისი ხალხის სურვილისამებრ, რითაც საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა. სწორეთ ამ გვარადვე იმოქმედა ბ. მაზრის უფროსმა დ. ლანჩხუთშიც, და აქაც ხალხმა დიდი მადლობა გამოუცხადა სასიკეთო მამასახლისის ამორჩევისათვის. მაშ ჰქონდა აქ მალა-მომრეობას ადგილი წასულ წელს?! ოღონდ, სამწუხაროთ, უნდა მოგახსენოთ ბატონებო, რომ შარშანდელი ამორჩეული მამასახლისები შემდეგ სწორეთ იმავ „მალ-მომრეობის" წყალობით ჩაბარდნენ პატრონებს!!....

კ. ლანჩხუთელი.

12 აპ. 1896 წ.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ციციშვილნი. თავად ციციშვილთა გვარეულობა მომდინარეობს თავად პაატა ევსევის ძის ციციშვილისაგან, რომელიც 1724 წ. საქართველოს მეფე ვახტანგ ლევანის ძესთან ერთად წავიდა საქართველოდამ.

უმაღლესის განაჩენით 22 ოქტომბერს 1800 წელს ეს გვარი რუსეთის თავადთა საგვარეულო სიას შეუერთდა და სრულიად რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურთა V საგვარეულო წიგნში იქმნა შეტანილი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 26 ივნისს 1800 წ., 15 დეკემბერს 1849 წ. და 14 ივლისს 1855 წ. თავადებად დამტკიცებულ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ იქმნენ თავადნი ციციშვილნი: 1) მაიორი დიმიტრი ევსევის ძე; 2) გვარდიის შტაბს-კაპიტანი პავლე ივანეს ძე, ცოლი მისი ეკატერინე ფრანცის ასული და 3) დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დიმიტრი ივანეს ძე.

## „ივერიის" დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 აპრილი.

**პეტერბურგი.** „პრავიტელ. ვესტ."-ი აცხადებს, რომ საერო განათლების სამინისტროსთან არავითარი განსაკუთრებული კომისიები არ დაარსებულა იმ აზრით, რომ საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში, გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებლებში და სხვაგან რაიმე ცვლილება მოახდინონო, რადგანაც ასეთი ცვლილება უკვე იქმნა შეტანილი 1890-სა და 1895 წ. და მეორეც მხოლოდ მაშინ იქნება ამ საგნის შესახებ უწყებული ამბავი ნამდვილი, როდესაც მას „პრავიტ. ვესტ".-ი დაჰბეჭდავს.

**ოდესსა.** 16 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე, ჩინეთის ელჩები საგანგებო მატარებლით პეტერბურგს წავიდნენ. ლი-ხუნგ-ჩანგი დიდად კმაყოფილი იყო, რომ ოდესსაში იგი კარგად მიიღეს.

**პარიზი.** 15 აპრილს ოსმალეთის ელჩმა ბულგარიის მთავრის პატივსაცემლად სადილი გამართა. სადილს დაესწრო მინისტრთა უმეტესობა.

**პარიზი.** სამინისტრო ამ რიგად შესდგება: მელინი მინისტრ-პრეზიდენტადა და მეურნეობის მინისტრად იქმნება, შინაგან საქმეთა მინისტრად—ბარტუ, ფინანსთა მინისტრად—ჟაკრე კოშრი, ახალშენთა მინისტრად—დეშანელი, ვაჭრობის მინისტრად—ანდრე დებონი და სამხედრო მინისტრად გენერალი ბილლო; ადვილი შესაძლებელია სასჯულო საქმეთა მინისტრად დარლანა იქმნეს, ზღვათა მინისტრად ბენარა და საზოგადო სამუშაოთა მინისტრად ვალლი; ერთ-ერთი სენატორი, უფროკი რანბო, უთუოდ საერო განათლების მინისტრად იქმნება. მინისტრთა ოფიციალური სია მხოლოდ ხუთშაბათს იქმნება გამოცხადებული, როდესაც ახალი კაბინეტი წარუდგება პარლამენტს, რადგანაც 19 აპრილს, ე. ი. 1-ლს მაისს კაბინეტი თავისს თანამდებობს უნდა ასრულებდეს.

**ბერლინი.** ბულგარიის მთავარი ხუთშაბათი მოვა აქ.

**კონსტანტინეპოლი.** 16 აპრილს კრიტოსის კუნძულზედ ოსმალეთის ჯარი გარს შემოერტყა პრევეელის მონასტერს, რომ სარევოლიუციო კომიტეტის წევრნი შეეპყრა. დიდი სისხლის ღვრა მოუხდათ ერთმანეთში. დაწვრილებითი ამბები ჯერ არ იციან.

**ლონდონი.** კერზონმა განაცხადა პარლამენტში, რომ, როგორც რუსეთის ელჩმა სთქვა, ის ამბავი, ვითომ რუსეთსა და ჩინეთს საიდუმლო ხელშეკრულობა აქვთ, რომ რუსეთს ერთი რომელიმე მიწა დაუთმოს ჩინეთმაო, სულ ტყუილიაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,60 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 215½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101 | — „ | — „ |
| 4% იმავე ბანკისა . | 97¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99 |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—106).

ქირავდება
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა.
თარგმანი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური
ისყიდება ტფილისის, ქუთაისის და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და მხან. სტამბაში.

ბზიქლა სასმელი ბელი
კელერისა
როგორც მშრალი, ისე დამზადებული სითხეთ და აგრეთვე
ლილა
კელერისა
სარეცხისათვის,
ყველა ესენი თავისის ღირსებითა ბევრით მაღლა სდგანან, როგორც რუსეთისა, ისე საზღვარ-გარეთის ამგვარ ნაწარმოებებზედ.
ისყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.



(3—27—1)

ითხოვეთ მხოლოდ
საპონი „ვაზელინი"—იაფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელია.
ჰიგიენის „ამხანაგობისა" ს.-პეტერბურგში.
ს.-პეტერბურგი, ალექსანდრ. მოედ., 9., მოსკოვი, კარშავა.
ისყიდება ყველგან.
(9—7—9).

ქ. ბათუმი
«თამარის ციხე».
მაქვს პატივი ვაცნობო კეთილშობილ საზოგადოებას, რომ მარტის 15-ათავ. კ. მუხრანსკის მამულში
«თამარის ციხეზე»
დაიწყება სახალხო სეირნობა. კვირაში სამჯერ ბაღში დაუკრავს ხორო სამხედრო მუსიკისა. ბაღში იშოვნება ყოველგვარი ევროპიული და ადგილობრივი სასმელები და საჭმელები და სხვა და სხვა ზაკუსკეულობა. ფასი ყველაფერზე დაკლებულია. იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოდ. სიმდაბლით: ბუფეტის პატრონი გიორგი სვიმონის ძე დოლიძე. (6—34—6)

L'URBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.
в,Нескій рп., № 13

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (40—31)